# აკრობატთა საკავშირო სარბიელი

დღეს თბილისის სპორტის სასახლეში სტარტს იღებს სსრ კავშირის XXVI ჩემპიონატი აკრობატიკაში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები. აკრობატთა საკავშირო ჩემპიონატი უკვე ჩატარებულა თბილისში (1940 წელს, მერე კი 1951 და 1968 წლებში). თუ ისტორიას გადავავლებთ თვალს, აუცილებელია აღინიშნოს, რომ უკვე პირველივე საკავშირო ჩემპიონატში (1939 წ.) საქართველოდან წარგზავნილმა ოთხეულმა (მ. ქილეხსაშვილი, ფ. იმელიანოვი, თ. მაყაშვილი და ა. ვართანოვი) ჯგუფურ ვარჯიშში ოქროს მედლები დაისაკუთრა.

მას შემდეგ ჯგუფური ვარჯიში თითქოს ჩვენი რესპუბლიკის აკრობატთა მონოპოლიად იქცა. შემადგენლობა იცვლებოდა, მაგრამ საქართველოს ოთხეული მუდამ წარმატებით გამოდიოდა ქვეყნის ჩემპიონატში. მაგალითად, მან ოქროს მედლები დაისაკუთრა 1940, 1948, 1949, 1950 და 1951 წლებში. გუნდში შედიოდნენ ვ. კოჩერგინი, ნ. მახაშვილი, გ. ჟურავლიოვი, გ. გარსევანიშვილი, ი. ჩესნოკი. ყველაზე ხშირად კი ამ კოლექტივის წევრი იყო მ. ქილეხსაშვილი, რომელმაც ოთხჯერ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონობა.

შემდეგში ქილეხსაშვილმა მწვრთნელად დაიწყო მუშაობა და აგერ უკვე 30 წელია ახალგაზრდებს ზრდის. ნაყოფიერი მუშაობისთვის მას სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა. დღეს ქილეხსაშვილის მოწაფეები აგრძელებენ იმ მდიდარ ტრადიციებს, რომელთაც ორმოციან წლებში დაედოთ სათავე. მაგალითად, ა. სლივკოვმა, ს. დელიბალტოვმა, ა. თედეევმა და თ. ხუდოევმა 1968 წელს პროფკავშირთა საკავშირო სპარტაკიადის ჯგუფურ ვარჯიშში I ადგილი დაიკავეს. მერე, 1970 წელს, თ. ლომთაძემ, ა. სლივკოვმა, ა. თედეევმა და ს. დელიბალტოვმა სსრ კავშირის თასი მოიგეს, შარშან კი II ადგილზე გავიდნენ.

დაძაბულად, დიდი პასუხისმგებლობით ემზადებოდნენ საქართველოს აკრობატები თბილისის საკავშირო ჩემპიონატისთვის. ჯგუფურ ვარჯიშში წარმატების დიდი შანსი აქვს ჩვენს ოთხეულს „შრომითი რეზერვებიდან" ძალიან მაღალ შედეგებს გვპირდებიან შერეული წყვილი — „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონები ფ. ვოლჩენკო და დ. იაშალაშვილი, ძალისმიერი წყვილი — თ. ხუდოევი და პ. მიქიაშვილი. აკრობატულ ხტომებში იასპარეზებენ ა. პოღოსიანი და ნ. ჩარკრუბიანი (ქალთა შორის), გ. შონია და ჯ. ლაშხი (ვაჟებში).

ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ნ. ფოფხაძის თავმჯდომარეობით დიდი მუშაობა გასწია, რათა ჩემპიონატის 180 მონაწილისთვის, მსაჯებისთვის, მწვრთნელებისა და სტუმრებისთვის საჭირო პირობები შეექმნა. თბილისის კომკავშირული ორგანიზაციები შეფობას უწევენ ყველა გუნდს. შეფები სტუმრებს გააცნობენ ჩვენი დედაქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს, მიიწვევენ ქარხნებში, ფაბრიკებში, უმაღლეს სასწავლებლებში.

მაშ ასე, დღეს თბილისის სპორტის სასახლის სარბიელზე საბჭოთა კავშირის უძლიერესი აკრობატები გამოვლენ. ჩემპიონატის პროგრამაშია ჯგუფური ვარჯიში, ძალისმიერი და შერეული წყვილების შეჯიბრება, აკრობატული ხტომა, მხტომელთა ნებისმიერი თავისუფალი ვარჯიში.

ზ. ქვათაძე.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 81 (4591)

1972 წ. 25 აპრილი, სამშაბათი.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## ფინალური სტარტები

გუშინწინ კიშინიოვში გაიმართა საკავშირო მძლეოსნური კროსი „პრავდის" პრიზზე. მონაწილეთა რაოდენობა სარეკორდო იყო: საასპარეზოდ თავი მოიყარა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის, აგრეთვე, სხვა 144 ქალაქის 1200-ზე მეტმა სპორტსმენმა, რომლებსაც მთავარი ჯილდოს — „პრავდის" პრიზის გარდა, ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, გაზეთ „სელსკაია ჟიზნის", სხვადასხვა სპორტსაზოგადოების მიერ დაწესებული სპეციალური პრიზებისთვის უნდა ებრძოლათ.

შეჯიბრებისადმი ინტერესს ისიც ზრდიდა, რომ ყველა დისტანცია „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი კომპლექსის ჩათვლაშიც შედიოდა. აქვე დავსძენთ, რომ 77 წლის 6 ზოლოტოვმა ახალი კომპლექსის, V საფეხურის — „მხნეობა და ჯანმრთელობა" — უკვე ყველა ნორმატივი ჩააბარა.

ტურნირი 3000 მეტრზე მორბენალმა ჭაბუკებმა გახსნეს. ბრძოლაში 1000 მეტრზე მოასპარეზე გოგონებიც ჩაებნენ. პირველი გამარჯვებულიც გოგონათა ტურნირმა დაასახელა. ეს გახლდათ ბოლო, მეცხრე გარბენში უძლიერესი — კრასლავსკის რაიონის (ლატვია) სოფელ ზელჩევოს საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელი ლ. პოიკანე — 2.48,2.

ჭაბუკთა ტურნირიც ბალტიისპირელმა მოიგო: ესტონეთის სოფელ იისაკის სკოლის მეათეკლასელმა ე. სელიკმა — 8.31,6.

ქალიშვილები 1500, ხოლო იუნიორები 5000 მეტრზე დარბოდნენ. ქალიშვილთა შეჯიბრებაში ყველას აჯობა ლენინგრადელმა სტუდენტმა ი. ბონდარჩუკმა (4.35,7), იუნიორებში კი ვ. ზატონსკიმ (მოსკოვის ოლქი) — 14.37,6.

ვეტერან ქალთა შეჯიბრება 1000 მეტრზე მოეწყო. აქ ბადალი არ ჰყავდა სვერდლოვსკელ კ. კოშკინას — 3.12,3.

მთავარი პრიზები ქალებისთვის 2000 და ვაჟებისთვის 8000 მეტრზე რბენაში გათამაშდა. ქალთა შეჯიბრებაში პრიზი მოიპოვა ლენინგრადის უნივერსიტეტის სტუდენტმა ტ. კაზანკინამ, რომლის შედეგია 6.01,0. შეჯიბრების არაერთგზის პრიზიორები, უკრაინელი ლ. სოროკა (6.02,5) და მაგნიტოგორსკელი თ. კაზარკოვა (6.02,8) II და III ადგილებს დასჯერდნენ.

ყველაზე საინტერესო მაინც 8000 მეტრზე მორბენალთა შეჯიბრება იყო. უძლიერესთა გარბენში შუა დისტანციის შემდეგ დაწინაურდნენ ბელორუსიელი ი. ბურაკოვი, ლატვიელი ა. ბეინაროვიჩი, სმოლენსკელი ი. პარლუი და კიდევ რამდენიმე კაცი. მაგრამ, როცა ფინიშამდე კილომეტრნახევარი დარჩა, მძლავრი ბიძგით წინ პარლუი გაიჭრა, სმოლენსკელ სპორტსმენს ვეღარავინ დაეწია და გამარჯვებაც მას დარჩა — 23.04,8. ბეინაროვიჩი პარლუის 8,6 წამით ჩამორჩა. III ადგილზეა ბურაკოვი — 23.21,6.

საერთო გუნდურ ჩათვლაში „პრავდის" პრიზი დაისაკუთრა რსფსრ-ს ნაკრებმა — 11 საჯარიმო ქულა. II ადგილზე არიან უკრაინის (22), III — ლენინგრადის (25) კროსმენები.







სურათებზე: საქართველოს აკრობატები ქვეყნის ჩემპიონატისთვის ემზადებიან. ზევით: ტ. ხუდოევისა და პ. მიქიაშვილის ძალისმიერი წყვილი (მარჯვნივ — მწვრთნელი გ. მარგიშვილი); ქვევით (მარცხნივ) — ოთხეული ტ. ლომთაძის, ა. სლივკოვის, ა. თედეევისა და ს. დელიბალტოვის შემადგენლობით; მარჯვნივ — ფ. ვოლჩენკოსა და დ. იაშალაშვილის შერეული წყვილი.

ავტორის ფოტოები.

## ტელეტაიპი

ლოს-ანჯელესი, 22 აპრილი. კოლიზეუმის სტადიონზე ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში შვედმა ჩ. იზაქსონმა ჭოკით ხტომაში კვლავ გააუმჯობესა თავისივე მსოფლიო რეკორდი — ამჯერად სანტიმეტრით აამაღლა რეკორდის ჭერი — 554 სმ გადალახა.

დნეპროპეტროვსკი, 23 აპრილი. სახანძრო-გამოყენებით სპორტში აქ გამართულ შეჯიბრებაში ვოროშილოვგრადელმა ვ. კლეიკოვმა 100-მეტრიანი წინაღობათა ზოლის გარბენას 17,5 წამი მოანდომა. ეს სსრ კავშირის რეკორდია.

ლვოვი, 23 აპრილი. ტყვიის მსროლელთა აქ მიმდინარე საკავშირო ტურნირში კიდევ რამდენიმე რეკორდი გაუმჯობესდა. მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლილა სროლაში ბელორუსიის ვაჟთა გუნდმა 2387 ქულა მოაგროვა. ეს ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს 7 ქულით აღემატება. პნევმატური პისტოლეტით სროლაში ოთამა ქალმა გადაამეტა სსრ კავშირის რეკორდის სარეგისტრაციო ნორმატივს — 380 ქულას. ჯერ ს. ვოლიჩენკომ (უზბეკეთი) 381 ქულა მოაგროვა, მერე ეს შედეგი უკრაინელმა ლ. მინკომ გაიმეორა, შემდეგ კი მინსკელმა ნ. კაზაკოვამ 382 ქულა დააგროვა. რეკორდი საბოლოოდ ბაქოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველკურსელს, 18 წლის ტ. პენზინას დარჩა. მისი შედეგია 383 ქულა.

ამავე ვარჯიშში უკრაინის ქალთა ტრიომ (ლ. მინკო, ნ. სტოლიაროვა, ზ. ბირიუკოვა) 1136 ქულა დააგროვა და 8 ქულით გააუმჯობესა სსრ კავშირის რეკორდი. უკრაინელთა მაჩვენებელი ოფიციალურ მსოფლიო მიღწევაზე 20 ქულით უმჯობესია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაზეთ „სოფლის ცხოვრების" რედაქციას

„ლელოს" რედაქციის კოლექტივი მხურვალედ გილოცავთ თქვენი გაზეთის დაარსების 50 წლისთავს, შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებას და გისურვებთ შემდგომ წარმატებებს შრომასა და პირად ცხოვრებაში.

საქართველოს მშრომელების საყვარელი გაზეთი „სოფლის ცხოვრება" დიდ მუშაობას ეწევა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებისა და წინსვლისთვის, საქართველოს სოფლის მშრომელებს რაზმავს სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განუხრელად გატარებისთვის. ამას გარდა, იგი ხელს უწყობს საკოლმეურნეო მინდვრების მუშაკთა კულტურული დონის ამაღლებას, ფიზიკური კულტურის ფართოდ დანერგვას.

გაზეთ „სოფლის ცხოვრების" დიდ პოპულარობას მოწმობს ის ფაქტიც, რომ იგი ნახევარმილიონიანი ტირაჟით გამოდის და მკითხველი ყოველ ნომერს დიდი ინტერესით ელის.

გაზეთ „ლელოს" კოლექტივი დარწმუნებულია, რომ ქართველი მშრომელების საყვარელი გაზეთი კვლავაც იქნება ქართული პრესის ავანგარდში, იქნება საქართველოს სოფლის მშრომელთა დამრაზმველი ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებათა განხორციელებისთვის.

გაზეთ „ლელოს" რედაქციის კოლექტივი.

# ჯერჯერობით ანგარიში თანაბარია

მოსკოვი, 23 აპრილი. შაბათსა და კვირას ამერიკელმა კალათბურთელებმა ორი მატჩი გამართეს საბჭოთა სპორტსმენებთან. თავდაპირველად სტუმართა ოლიმპიური გუნდის მეტოქე იყო მოსკოვის ნაკრები. სტუმრებმა ძნელი გამარჯვება მოიპოვეს — 91:84.

მეორე დღეს ლუჟნიკის სპორტის სასახლეში გაიმართა ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი ამერიკელებსა და სსრ კავშირის კლუბების ნაკრებს შორის. ამჯერად გამარჯვება საბჭოთა სპორტსმენებს დარჩათ — 100:83 (46:32).

მასპინძლების წარმატება უმთავრესად დაცვაში საიმედო თამაშმა განაპირობა. ამერიკელებმა ვერაფრით დააღწიეს თავი ზონური პრესინგის მარწუხებს, ჩვეული რიტმიდან ამოვარდნენ, ხშირად ცდებოდნენ და გადაცემებს კარგავდნენ. საბჭოთა გუნდის დაცვაში თავი გამოიჩინეს დებიუტანტმა ლინკევიჩიუსმა („ჟალგირისი", კაუნასი), აგრეთვე, ედეშკომ (ცსკა) და კრიკუნმა („კალევი", ტარტუ). თავდასხმაში შეთანხმებულად მოქმედებდნენ ლენინგრადელი ა. ბელოვი და მოსკოველი ვოლნოვი, რომელიც დიდი ხნის შემდეგ დაუბრუნდა ნაკრებს.

ამერიკელთაგან ეფექტურად თამაშობდნენ კრემში და კეისი. პირველმა თავის გუნდს 20 ქულა შესძინა, მეორემ — 17. საბჭოთა ნაკრებში ყველაზე შედეგიანი მოთამაშე იყო ჟარმუხამედოვი — 26 ქულა.

შემდეგ შეხვედრას ამერიკელები კიევში გამართავენ.

# მესამე წრის მოლოდინში

უკრაინის დედაქალაქში დამთავრდა ხელბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის თამაშები. ბოლო ტურში კიევის „სპარტაკმა" დაამარცხა მინსკის „ტექნოლოგი" — 15:6. ბაქოს „სპარტაკმა" წააგო მოსკოვის „ლუჩთან" — 10:12. კაუნასის „ჟალგირისმა" მეორე წრის ფინიშზე შეძლო ურალის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის (სვერდლოვსკი) დამარცხება — 14:11. კიევის ბინათმშენებლობის № 3 კომბინატის გუნდმა მოუგო სვერდლოვსკის „კალინინეცს" — 10:7.

მეორე წრის შემდეგ საკავშირო ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერია კიევის „სპარტაკი" — 28 ქულა. აღსანიშნავია, რომ სპარტაკელებს წლევანდელ პირველობაში ქულაც არ დაუკარგავთ. 22 ქულით II ადგილზეა ბაქოს „სპარტაკი", ხოლო III — მოსკოვის „ლუჩი" (18 ქულა).

კიევში გამართულ ტურნირში საუკეთესო ბომბარდირად გამოიჩინა თავი ადგილობრივი „სპარტაკის" მოთამაშე ზ. ტურჩინამ — 38 გოლი.

საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი, მესამე წრის თამაშები კაუნასში გაიმართება 12-21 მაისს.

# „თეთრი ეტლის" საგზურისთვის

ცხაკაიაში გულთბილად შეხვდნენ „თეთრი ეტლის" საკავშირო ტურნირის საგზურისთვის პიონერული რაზმეულების რესპუბლიკური შეჯიბრების მონაწილე გუნდებს (თითოეულ გუნდში — 4 ბიჭი, 1 გოგონა).

საგზური დაისაკუთრეს ქუთაისელმა პიონერებმა, რომლებმაც 20,5 ქულა მოაგროვეს 25-დან. მათ ყველა მეტოქეს სძლიეს.

II ადგილი ხვდათ აფხაზეთის მოჭადრაკეებს — 14,5, III — თბილისის რესპუბლიკური ექსპერიმენტული საშუალო სკოლის წარმომადგენლებს — 12,5.

ტურნირში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, აჭარის, გორისა და ცხაკაიას გუნდები.

ე. გუგუნავა.
(ჩვენი კორ.).

ცხაკაია.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

# V ადგილზე

კიევი, 23 აპრილი. „დინამოს" სტადიონის ღია საცურაო აუზში დამთავრდა „ა" კლასის წყალბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე.

გუშინ თბილისის დინამოელები მოსკოვის უნივერსიტეტის წყალბურთელებს შეხვდნენ. თამაშის დამთავრებამდე 20 წამით ადრე მოსკოველებმა გადამწყვეტი ბურთი გაიტანეს და გაიმარჯვეს — 5:4. ამ დღის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბი (სსფ ცსკ) — „დინამო" (მოსკოვი) 6:5, „დინამო" (ალმა-ათა) — „ტორპედო" (მოსკოვი) 4:3 (ეს ალმაათელთა პირველი გამარჯვებაა ჩემპიონატში), „ბალტიკა" (ლენინგრადი) — „სპარტაკი" (ვოლგოგრადი) 3:3, „დინამო" (კიევი) — კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია (კწფ, ბაქო) — 2:5.

დღეს გაიმართა პირველი წრის ბოლო შეხვედრები. კარგად ითამაშეს თბილისელებმა, რომლებმაც ბაქოელებს სძლიეს — 5:4. უნივერსიტეტელი წყალბურთელები დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ ალმა-ათის „დინამოს" მხრიდან და მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს — 6:5. ერთნაირი ანგარიშით (7:5) დამთავრდა ორი შეხვედრა: მოსკოველმა მეზღვაურებმა მოუგეს ვოლგოგრადელებს, ხოლო კიევის დინამოელებმა — თავიანთ მოსკოველ თანაკლუბელებს. ფრედ (3:3) დამთავრდა „ტორპედოსა" და „ბალტიკის" შეხვედრა.

## გათამაშების ცხრილი

### მდგომარეობა I წრის შემდეგ

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსფ ცსკ | 9 | 8 | 1 | 0 | 53—36 | 17 |
| უნივერსიტეტი | 9 | 7 | 2 | 0 | 53—39 | 16 |
| „დინამო" (კ) | 9 | 5 | 1 | 3 | 41—41 | 11 |
| „დინამო" (მ) | 9 | 4 | 2 | 3 | 42—37 | 10 |
| „დინამო" (თბ) | 9 | 5 | 0 | 4 | 48—47 | 10 |
| კწფ | 9 | 2 | 3 | 4 | 39—38 | 7 |
| „სპარტაკი" | 9 | 3 | 1 | 5 | 38—41 | 7 |
| „ბალტიკა" | 9 | 1 | 4 | 4 | 37—48 | 6 |
| „ტორპედო" | 9 | 1 | 2 | 6 | 33—44 | 4 |
| „დინამო" (ა-ა) | 9 | 1 | 0 | 8 | 33—46 | 2 |

# „განთიადის" ჩემპიონია... ბურევესტნიკელი

ასუჯრიან შაშში „განთიადის" თბილისის ღია პირველობაში 14 კაცი მონაწილეობდა, მათ შორის — 1 ოსტატი და 9 ოსტატობის კანდიდატი.

უძლიერესი აღმოჩნდა ბურევესტნიკელი ოსტატობის კანდიდატი ა. ჩარგეიშვილი — 10 ქულა. II-III ადგილები გაიყვეს ოსტატობის კანდიდატებმა გ. ამირხანოვმა („განთიადი") და გ. მინასიანმა („კოლმეურნე") — 9,5-9,5. კოეფიციენტთა ცხრილით წინაა ამირხანოვი. მას, როგორც განთიადელთა შორის გამარჯვებულს, პროფკავშირთა საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალის საგზური ხვდა.

ო. ალხანიშვილი,
პირველობის მთავარი მსაჯი.

# 15 გუნდის მონაწილეობით

თბილისის უნივერსიტეტში დამთავრდა მოშაშეთა გუნდური პირველობა, რომელშიც 15 კოლექტივი (თითოეულში — 3 ვაჟი და 2 ქალი) მონაწილეობდა.

უძლიერესის სახელი მოიპოვა მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის გუნდმა (ზ. ქიტუაშვილი, ლ. ჩიხლაძე, ა. ჩარგეიშვილი, თ. მეხრელია, ნ. ისლამაზოვა).

II-III ადგილები გაიყვეს ფიზიკის ფაკულტეტისა და კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტის გუნდებმა. IV ადგილზე გავიდნენ მომავალი ფილოსოფოსები.

გ. ფეტილავა,
ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების II კურსის სტუდენტი.

# ღია წერილი

## საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს

ამ წერილის დაწერა თქვენს ინსტიტუტში ამას წინათ გადაწყვეტილმა ერთმა საკითხმა მაიძულა, ვინაიდან, მაპატიეთ, ეს გადაწყვეტილება სწორად არ მიმაჩნია. საქმე ეხება ერთი რუსული წინადადების ქართულ თარგმანს, კონკრეტულად, ფიზკულტურული კომპლექსის «Готов к труду и обороне СССР»-ის სახელწოდების გადმოქართულებას.

ამ კომპლექსის სახელწოდებას ქართულად დიდი ხანია ასე თარგმნიან: „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისთვის" (მშთ).

ეს არ უნდა იყოს სწორი, ვინაიდან სხვისი თავდაცვა ყოვლად შეუძლებელია. სიტყვა „თავდაცვა" მხოლოდდამხოლოდ საკუთარი თავის დაცვას ნიშნავს და გულისხმობს. ამის დასადასტურებლად უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება როგორც ქართული კლასიკური მწერლობიდან (ილია, აკაკი, ვაჟა...), ისე თანამედროვე ლიტერატურული წყაროებიდან. სხვა რომ არაფერი, საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში ხომ შავით თეთრზე წერია: „სამშობლოს დაცვა (და არა თავდაცვა. — მ. კ.) სსრ კავშირის თითოეული მოქალაქის წმიდათა წმიდა მოვალეობაა".

ნუთუ არ გჭრით ყურს, ვთქვათ, ასეთი წინადადება: „ნუ გეშინია, მზად ვარ შენი თავდაცვისთვის"? (მე შემიძლია ვიყო მზად ჩემი თავდაცვისთვის).

ამას წინათ პრესაში გამოქვეყნდა საქინფორმის თარგმნილი ახალი ფიზკულტურული კომპლექსისადმი მიძღვნილი დადგენილება. ამ დადგენილების პირველივე აბზაცში აშკარა შეუსაბამობაა: „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ ახალი სრულიად საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის (მშთ)", რომელიც დამტკიცებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 17 იანვრის დადგენილებით, ფიზიკური აღზრდის საბჭოთა სისტემის საპროგრამო და ნორმატიული საფუძველია, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს საბჭოთა ადამიანების მორალური და სულიერი სახის ჩამოყალიბებას, მათს ყოველმხრივ ჰარმონიულ განვითარებას, მოსახლეობის მომზადებას მაღალნაყოფიერი შრომისა და სამშობლოს დაცვისათვის". (ხაზი ზევით და ყველგან ჩვენია. — მ. კ.).

ამავე მნიშვნელოვანი საბუთის მე-11 აბზაცი ასე თავდება: „... მოამზადონ ყოველმხრივ განვითარებული ადამიანები, რომლებიც შეძლებენ მაღალნაყოფიერად შრომას და სოციალისტური სამშობლოს დაცვას".

მაშასადამე, ამ დოკუმენტის მთარგმნელები, რომლებიც ტრადიციის ძალითა თუ ინერციით «Готов к труду и обороне СССР»-ს თარგმნიან „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისთვის", უმალვე წინააღმდეგობაში ვარდებიან, გრძნობენ ამ წინადადების მცდარობას და იმავე აბზაცში (და შემდგომაც) ასწორებენ ამ უხერხულ გამოთქმას.

ყოველ რუსულ-ქართულ ლექსიკონში სიტყვა «Оборона» თარგმნილია, პირველ ყოვლისა, როგორც „დაცვა". აქედანაა სავსებით მართებულად თარგმნილი „სტალინგრადის დაცვა" («Оборона Сталинграда»), „სევასტოპოლის დაცვა" («Оборона Севастополя») და ა. შ.

ჩვენი გაზეთის ოპონენტებს, რომლებიც თავგამოდებით იცავენ მშთ-ს („მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისთვის"), ერთ-ერთ მთავარ საბუთად „სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრო" მოაქვთ. ეს ვერაფერი არგუმენტია, ვინაიდან სსრ კავშირი თავს იცავს გარეშე მტრებისგან და, ამდენად, სამინისტროსაც თავდაცვის სამინისტრო ეწოდება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ტერმინს პოლიტიკური ნიუანსიც აქვს, რომელიც ჩვენი სახელმწიფოს მშვიდობიან პოლიტიკაზე მიუთითებს.

იმასაც მოგახსენებთ, რომ ომის წლებში ბევრი იწერებოდა სამშობლოს დამცველთა (და არა თავდამცველთა) გმირობაზე... ან გაიხსენეთ მედლების სახელწოდებანი: „მოსკოვის დაცვისთვის", „ოდესის დაცვისთვის", „კავკასიის დაცვისთვის" და ა. შ.

ჩვენ ამ საკითხს იმიტომ ვაყენებთ, რომ ბოლო დროს გაზეთმა „ლელომ" «Готов к труду и обороне СССР» (ГТО) ასე თარგმნა: „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" (მშდ). ასეთ თარგმანს პრინციპულად არ დაეთანხმა ფიზკულტურისა და სპორტის მოღვაწეთა ერთი ნაწილი, რომელსაც ეს შეცდომად მიაჩნია და მოითხოვს კომპლექსის სახელწოდებას შემოკლებით ძველებურად ეწოდოს მშთ (ეს სავსებით სწორი იქნებოდა, კომპლექსის სრულ სახელწოდებაში სიტყვა „სსრ კავშირის" რომ არ იყოს და ასე იწოდებოდეს: „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისთვის").

ჩვენი ოპონენტები ამბობენ, მშთ ტრადიციულადაა დამკვიდრებული და არ ღირს მისი გადასხვაფერება. მაგრამ ერთ პრინციპულ საკითხში უნდა შევთანხმდეთ: შეცდომის გასწორება არასდროს არ არის გვიან. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ტრადიციას საერთოდ და, კერძოდ, ტერმინოლოგიაში ძალიან ღრმად აქვს გადგმული ფესვები და ყოველი ძველი ტერმინის გადასინჯვისას აშკარა კონსერვატულ მიდგომას ვაწყდებით. ჩვენი აზრით, ასე მოხდა ამჯერადაც, როცა ფიზკულტურულ მუშაკთა ერთმა ნაწილმა სასტიკად გაილაშქრა მშდ-ს წინააღმდეგ.

საერთოდ ძველ ტერმინს, ისევე როგორც ყოველ მამაპაპეულ ჩვეულებას, კაცი ძალიან ძნელად ელევა. მაგრამ ქართული ენის სიწმინდის ინტერესები მოითხოვს, რომ გასწორდეს ის, რაც გასასწორებელია.

ველით თქვენს პასუხს.

პატივისცემით,
გაზეთ „ლელოს" რედაქტორი
მ. კაკაბაძე.

# იმედის ნაპერწკალი

ცნობილია, რომ ბოლო წლებში საქართველოს მოკრივეები ძალიან სუსტად გამოდიან სხვადასხვა შეჯიბრებაში. ამის გამოსწორებისთვის, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, ჭაბუკებში უნდა მოგვარდეს საქმე. აი, ამიტომ, ჩვენი რესპუბლიკის მოკრივეთა ყოველი წარმატება ორმაგად სასიხარულო გახლავთ და ყოველი ახალი ტალანტის გამოჩენა იმედის ნაპერწკალს გვიღვივებს.

მართლაც, განა სასიხარულო არ არის ჩვენი რესპუბლიკის ჭაბუკ მოკრივეთა ჩინებული გამოსვლა შუა აზიისა და ამიერკავკასიის სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" ტრადიციულ პირად-გუნდურ შეჯიბრებაში, რომელიც ახლახან თურქმენეთის დედაქალაქ აშხაბადში დამთავრდა? თავად განსაჯეთ, უფროსი ასაკის ჭაბუკთა შეჯიბრებაში 11 წონითი კატეგორიის წარმომადგენლებიდან ექვსი ფინალში გავიდა, ორმა კი I ადგილიც დაისაკუთრა.

მამ ასე, საქართველოს მოკრივეებმა მეორედ მიიღეს მონაწილეობა ანალოგიურ შეჯიბრებაში, მაგრამ, თუ შარშან მხოლოდ იუნიორები ასპარეზობდნენ, წლეულს ჭაბუკები ორ, უფროსი (1955-56 წლებში დაბადებულები) და უმცროსი (1957-58 წწ.) ასაკის ჯგუფებად იყვნენ დაყოფილი.

ფინალში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი რ. აირაპეტოვი (54 კგ) შეხვდა თურქმენეთის სპორტსმენ ვ. ასკანოვს. აირაპეტოვი ტანად მეტოქეზე მაღალია და ამიტომ ხელს აძლევდა შორი მანძილიდან ბრძოლა. თურქმენი სპორტსმენი ამაოდ ცდილობდა ახლოს მისვლას: მის ყოველ ცდას აირაპეტოვი კონტრდარტყმებით უპასუხებდა. ამ უკანასკნელმა ტაქტიკურად სწორად ააგო შეხვედრა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა.

საინტერესო გამოდგა საქართველოს წარმომადგენელ ო. სავინიხისა და თურქმენეთის მოკრივე ვ. კოზლოვის ორთაბრძოლა. კოზლოვმა ნახევარფინალში დაამარცხა სსრ კავშირის ჭაბუკთა პირველობის პრიზიორი ს. სერგეევი (უზბეკეთი), ამიტომ ფინალში გამარჯვებას მას უწინასწარმეტყველებდნენ. მაგრამ, ეტყობა, სავინიხი ასე არ ფიქრობდა და თავისი განზრახვა ფინალური ბრძოლის დაწყებისთანავე გამოამჟღავნა — მეტოქეს თავბრუდამხვევი ტემპი შესთავაზა. სამი რაუნდის განმავლობაში სავინიხის უპირატესობა აშკარა იყო და გამარჯვებაც მას ხვდა.

როცა მსაჯმა-ინფორმატორმა რინგზე ქართველ ზ. ბაღდავაძესა (74 კგ) და ყირგიზ ვ. გუვას უხმო, ყველა ფიქრობდა, რომ გაიმარჯვებდა ეს უკანასკნელი — გამოცდილი მოკრივე. მართალია, გუვამ შეხვედრა მოიგო, მაგრამ პატარა უპირატესობით. ბაღდავაძე ძალიან აზრიანად იბრძოდა, მაგრამ უპირატესობა გამოცდილებას ხვდა. ბაღდავაძე II ადგილს დასჯერდა.

მძიმეწონოსანი ნ. ცაგარეიშვილისა (საქართველო) და ვ. კორნილოვის (უზბეკეთი) ორთაბრძოლის შემდეგ მსაჯები კარგა ხანს კამათობდნენ და შემდეგ გამარჯვებულად კორნილოვი გამოაცხადეს. ცაგარეიშვილმა II ადგილი დაიკავა.

ასევე II ადგილი დაისაკუთრა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა შ. უსუფიანმა (70 კგ.).

უმცროსი ასაკის ჭაბუკთა შორის თავი გამოიჩინა ჩვენმა მოკრივემ ა. კაკაბაძემ (50 კგ). მან I ადგილთან ერთად საუკეთესო ტექნიკისთვის სპეციალური პრიზიც მიიღო. I ადგილზე გავიდა, აგრეთვე, ჯ. ლობჟანიძე (72 კგ), რომელმაც ფინალში დაამარცხა თანაგუნდელი დ. ქღენტი.

გუნდური I ადგილი დაიკავა თურქმენეთის პირველმა კოლექტივმა, II — საქართველოს ნაკრებმა, III — უზბეკეთის გუნდმა.

ა. გურული.

## სსრ კავშირის პირველობა

# ნაძალადევი ექსპერიმენტი

მოსკოვი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 22 აპრილი.

„ტორპედო" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი) 0:3 (0:2).

„ტორპედო": ბანიკოვი, შტაპოვი, პახომოვი (კრასნოვი), ბუტურლაკინი, გრებნევი, შუსტიკოვი, ფილიპოვი, დეგტიარიოვი, შალიმოვი (ფეტისოვი), იურინი, სმირნოვი.

„დინამო": გოგია, გოგიჯანაშვილი, ებრალიძე, მჭედლიშვილი (კუტივაძე), პეტრიაშვილი, გავაშელი, მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. ნოდია, ყიფიანი.

მსაჯი კ. ანძიულისი (კაუნასი).

დუბლიორები — 1:0 „ტორპედოს" სასარგებლოდ.

თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობა ძალიან რთული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა ამ მატჩში. თამაშის უფლება არ ჰქონდათ ძოძუაშვილს და ხურცილავას, რომლებიც სსრ კავშირის ნაკრებში არიან გაწვეული. ამას გარდა, ავადმყოფობის გამო მინდორზე ვერ გამოვიდოდნენ ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, კანთელაძე. ესე იგი, ტორპედოელებთან „დინამოს" უნდა გამოეყვანა სრულიად ახალი, ექსპერიმენტული დაცვის ხაზი. საამისოდ მარჯვენა მცველად მოიწვიეს გოგიჯანაშვილი, ხოლო ცენტრალური მცველის პოსტი მიენდო მწყობრში ახლახან დაბრუნებულ მაჩაიძეს. საქმე ისაა, რომ მაჩაიძეს ერთ-ერთ საერთაშორისო მატჩში უკვე ნათამაშევი ჰქონდა სტოპერის ადგილზე და ამიტომ გადაწყდა ნისი ხელახალი გამოცდა.

სანამ მატჩის გარჩევას შევუდგებოდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ გაოცებას იწვევს შემდეგი გარემოება: მოსკოვის „ტორპედოს" მეკარე ვ. ბანიკოვი სსრ კავშირის ნაკრების წევრიცაა, მაგრამ მისთვის რატომღაც გააკეთეს გამონაკლისი და დაუშვეს სათამაშოდ.

მოსკოვის ტორპედოელებმა, როგორც ვიცით, წლეულს ძალიან უხეიროდ აიღეს ჩემპიონატის სტარტი. 22 აპრილისთვის მათ სამი შეხვედრიდან 2 წაგებული ჰქონდათ ბურთების ერთობ არასახარბიელო სხვაობით — 1—7. როდის, თუ არა ახლა, დედაქალაქში სეზონის ოფიციალური გახსნის დღეს, მატჩში დინამოელებთან, რომლებსაც იძულებით ჰქონდათ გადახალისებული დაცვის მთელი რგოლი, უნდა ცდილიყო ავტოქარხნელთა გუნდი თავის რეაბილიტაციას? პირველმა 10-12 წუთმა თითქოს გაამართლა კიდეც ვარაუდი. მოსკოველები ამ ხნის განმავლობაში იერიშზე იყვნენ, ხშირად უტევდნენ და სახიფათო მომენტებსაც ქმნიდნენ. ერთ-ერთი შეტევა შეიძლება გოლითაც დამთავრებულიყო, გოგიას თავგანწირული ნახტომი რომ არა.

გარდატეხა, და ისიც სრული, მოხდა მე-15 წუთზე: გავაშელმა მინდვრის სიღრმეში მოატყუა ზედიზედ სამი მეტოქე, შემდეგ „კედელი" გაითამაშა ნოდიასთან, დრიბლინგით აუარა გვერდი პახომოვს და ზუსტად დაარტყა კარში — 1:0.

დინამოელებს მაშინვე გაეხსნათ ხელ-ფეხი. 22-ე წუთზე ტორპედოელთა მხარეს საჯარიმო დაინიშნა. მაჩაიძემ მაღალი ბურთი დაჰკიდა პირდაპირ კართან, აქ პახომოვმა ყიფიანთან ბრძოლაში რივიანად ვერ მოიგერია ბურთი და იგი ასათიანთან მოხვდა. თბილისელთა კაპიტანმა დაახლოებით 25 მეტრიდან შესანიშნავად დაარტყა — 2:0.

აი, აქ გამოირკვა, რომ მოსკოვის „ტორპედო" დღეს ძალიან შეუთამაშებელი, უსისტემო გუნდია. ახალგაზრდობა ვერ ამართლებს ნდობას, ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, ხოლო ვეტერანები შორს არიან თავიანთი ნამდვილი ფორმისგან. ერთადერთი, ვინც გამოირჩეოდა მასპინძელთა რიგებში, იურინი იყო.

შესვენების შემდეგ მოსკოველებმა სცადეს კონტრთამაშის შექმნა, მაგრამ ეს ხდებოდა. ნაჩქარევად, მოუმზადებლად. წინ წასულ თავდამსხმელებს ნახევარმცველები ვერ უმაგრებდნენ ზურგს და თბილისელებს შუა მინდორზე საპასუხო იერიშების განვითარების საუკეთესო საშუალება ეძლეოდათ. „დინამოს" დაცვა კოლექტიურად იგერიებდა მეტოქის იერიშებს, შემდეგ ბრძოლაში ებმებოდნენ ნახევარმცველები, ხოლო წინა ხაზზე ბევრს და ნაყოფიერად მოქმედებდნენ თავდამსხმელები. შესანიშნავად ითამაშა ყიფიანმა, რომლის ნეიტრალიზება ტორპედოელებს ძალიან უჭირდათ. ხშირად იცვლიდა ადგილს შეტევაში ნოდია, სისტემატურად ებმოდა ბრძოლას თავის დარაჯს გუცაევი, მაგრამ მის მიმართ სასაყვედურო ნაინც გვაქვს: ახალგაზრდა თავდამსხმელი, სულ ცოტა, სამჯერ აღმოჩნდა ისეთ პოზიციაში, რომელიც აუცილებლად გოლით უნდა დამთავრებულიყო, იგი კი ძალიან უზუსტოდ ურტყამდა.

82-ე წუთზე ყიფიანმა ბურთი წაიღო პეტრიაშვილისგან და კარში დაარტყა. ბანიკოვმა შეძლო ბურთის მოგერიება, მაგრამ მას მიუსწრო ხოდიამ და მესამედ აიღო მეტოქის კარი.

ამ დღეს მოსკოვში ერთდროულად ორ სტადიონზე მიმდინარეობდა ჩემპიონატის ორი მატჩი, ამიტომ აღნიშნულ შეხვედრას ცოტა მაყურებელი დაესწრო. მაგრამ მაინც, ვინც ესწრებოდა თბილისის დინამოელთა შეხვედრას მოსკოვის „ტორპედოსთან", ნასიამოვნები დარჩა სტუმრების მაღალტექნიკური, სწრაფი და შედეგიანი თამაშით.

ნ. ახალკაცი,
სპორტის ოსტატი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზარია" | 3 | 3 | 0 | 0 | 7—1 | 6 |
| „ზენიტი" | 4 | 2 | 2 | 0 | 8—5 | 6 |
| ცსკა | 4 | 3 | 0 | 1 | 6—3 | 6 |
| „დინამო" (კ.) | 4 | 3 | 0 | 1 | 5—4 | 6 |
| „დინამო" (თბ.) | 4 | 2 | 1 | 1 | 4—1 | 5 |
| „ლოკომოტივი" | 3 | 1 | 2 | 0 | 2—1 | 4 |
| „დნეპრი" | 4 | 1 | 2 | 1 | 7—7 | 4 |
| „დინამო" (მნ.) | 4 | 1 | 2 | 1 | 2—2 | 4 |
| „ნეფთჩი" | 4 | 2 | 0 | 2 | 3—4 | 4 |
| „არარატი" | 3 | 1 | 1 | 1 | 6—2 | 3 |
| „ყაირათი" | 4 | 0 | 3 | 1 | 2—3 | 3 |
| „სპარტაკი" | 4 | 1 | 1 | 2 | 3—5 | 3 |
| „დინამო" (მ.) | 3 | 1 | 0 | 2 | 2—2 | 2 |
| „კარპატი" | 4 | 1 | 0 | 3 | 2—5 | 2 |
| „ტორპედო" | 4 | 0 | 1 | 3 | 1—10 | 1 |
| ასკ | 3 | 0 | 0 | 3 | 0—5 | 0 |

გასულ შაბათ-კვირას გაიმართა ჩემპიონატის მორიგი, IV ტურის შეხვედრები.

„ზენიტი" (ლენინგრადი) — „ყაირათი" (ალმა ათა) 1:1.

ტაიმის დასასრულს წარმატებას მიაღწიეს სტუმრებმა (ოსიანინი). როგორც კი თამაში განახლდა, 49-ე წუთზე „ყაირათის" კარში 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა დაინიშნა. იგი ზუსტად გამოიყენა ლენინგრადელთა კაპიტანმა სადირინმა.

„დინამო" (კიევი) — „კარპატი" (ლვოვი) 1:0.

გოლი, რომელმაც გამარჯვება მოუტანა კიევის „დინამოს", 47-ე წუთზე გაიტანა ბლოხინმა.

ცსკა — „ნეფთჩი" (ბაქო) 1:0.

გოლი გაიტანა კოპეიკინმა.

„დინამო" (მინსკი) — „არარატი" (ერევანი) 1:1.

მე 60 წუთზე ანგარიში გახსნა „არარატის" ნახევარმცველმა ბონდარენკომ. საპასუხო გოლი 10 წუთის შემდეგ გაიტანა ვასილიევმა.

„დინამო" (მოსკოვი) — ასკ (როსტოვი) 2:0.

ამ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ წმინდა აუტსაიდერები, რომლებმაც პირველ ორ ტურში ორ-ორი მარცხი იწვნიეს. წარმატება ამჯერად მოსკოველებს ხვდათ — 2:0. ბურთები გაიტანეს ბაიდაჩნიმ და კოზლოვმა.

„სპარტაკი" (მოსკოვი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) 1:1.

ანგარიში გახსნა სპარტაკელმა ბულგაკოვმა, ხოლო საპასუხო ბურთი საჯარიმო დარტყმით გაიტანა ლიაბიკმა. ვ. ლიაბიკი ამჟამად ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერია 4 გოლით.

უმაღლესი ლიგა

## „კოლხეთს" მოგება შეეძლო

ფოთი. ქალაქის სტადიონი. 23 აპრილი.

„კოლხეთი" (ფოთი)—„ტრუდი" (ვორონეჟი) 0:0.

„კოლხეთი": იორამაშვილი, ბურჭულაძე, კუდრიავცევი, ფილია, გუდავაძე, დოროხინი (როხვაძე), კანკავა (არზიანი), კვარაცხელია, ჯაიანი, სანაია, მედია.

„ტრუდი": ლიტვინოვი, ტუდელიანი, სიმონენკო, ბორისოვი, მირონოვი, მატიუკინი, იანიშევსკი, პროსკურინი, მიჯორი, რომანოვი (ლიხი), ანფიმიადი.

მსაჯი ა. ევგრაფსონი (მოსკოვი).

„ა" კლასის II ლიგის გუნდების საკავშირო გათამაშების სტარტზე „კოლხეთს" ძლიერი მეტოქე ჰყავდა ვორონეჟელ ფეხბურთელთა სახით. საკმარისია ითქვას თუნდაც ის, რომ სტუმართა რიგებში გამოდის 5 სპორტის ოსტატი, რომელთა შორის ვხვდებით ტყავის ბურთის ცნობილ ოსტატებს პროსკურინს, იანიშევსკის და სხვ.

„ტრუდმა" პირველი 10-15 წუთის მანძილზე შეძლო ტერიტორიული უპირატესობის მოპოვება, მაგრამ ფოთელთა მცველებმა ორგანიზებულად, კარგად ითამაშეს და მალე ბრძოლამ შუა მინდორში გადაინაცვლა. ტაიმის დასასრულს ინიციატივა უკვე „კოლხეთს" ჰქონდა და ლიტვინოვს ძალიან ძლიერად დარტყმული ბურთის აღება მოუხდა სანაიასგან.

განსაკუთრებით საინტერესო და დაძაბული გამოდგა მეორე ტაიმი. „კოლხეთმა" აქტიურად, მონდომებით იბრძოლა. უკვე 50-ე წუთზე სანაიას ხელმეორედ მიეცა ანგარიშის გახსნის შანსი. შემდეგ კვლავ გამოიჩინა თავი მეკარე ლიტვინოვმა. რამდენიმე საპასუხო იერიში სტუმრებმაც განახორციელეს, და იორამაშვილმა ძნელი ბურთი აიღო იანიშევსკისგან.

მატჩის ბოლო წუთები მასპინძელთა განუწყვეტელი იერიშებით აღინიშნა, მაგრამ გოლი „ტრუდის" კარში მაინც არ გასულა.

„კოლხეთის" ფეხბურთელთაგან აღსანიშნავია ფილიას, სანაიას, კუდრიავცევის, იორამაშვილისა და სხვათა კარგი თამაში.

გ. გასილაია.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

სხვა მატჩები

23 აპრილს გაიმართა „ა" კლასის II ლიგის III ზონის გუნდების სხვა მატჩებიც. მოგვყავს მათი შედეგები:

„დრუჟბა" (მაიკოპი) — „შრომითი რეზერვები" (კურსკი) 2:0, „დინამო" (სოხუმი) — „სალუტი" (ბელგოროდი) 0:2, „გურია" (ლანჩხუთი) — „მეტალურგი" (ლიპეცკი) 0:2, „ზვეზდა" (ტირასპოლი)— „სპარტაკი" (ორიოლი) 1:0, „ყუბანი" (კრასნოდარი) — „მაშინოსტროიტელი" (პოდოლსკი) 3:0, „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) — „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) 1:2, „მერცხალი" (მახარაძე) — „ცილა" (გორი) 1:0.

### 3:1 და არა 3:3

I ლიგა

„ა" კლასის I ლიგის გუნდების 21 აპრილის ტურის მატჩების შედეგებიდან ჩვენს გაზეთში ერთი უსწოროდ იყო აღნიშნული. იაროსლავლის „შინიკისა" და ლენინგრადის „დინამოს" შეხვედრა დამთავრდა არა ანგარიშით 3:3, არამედ 3:1 „შინიკის" სასარგებლოდ.



ქუთაისის ტორპედოელებმა შესანიშნავად დაიწყეს წლევანდელი ტურნირი და სადღეისოდ „ა" კლასის I ლიგის ლიდერები არიან. ტორპედოელებმა განსაკუთრებით კარგად ჩაატარეს ბოლო ტურის მატჩი „პამირთან" (დუშანბე) და დიდი ანგარიშითაც გაიმარჯვეს — 5:1.

* * *

სურათზე: ქუთაისელთა ცენტრალურ თავდამსხმელს ჯ. ხერხაძეს მეოთხე ბურთი გააქვს „პამირის" კარში.

ლ. ფაჩუაშვილის ფოტო.

## ჩემპიონატის ბოლო თამაშები

პრაღა, 22 აპრილი. ჰოკეისტთა მსოფლიო და ევროპული ჩემპიონატის ბოლო მატჩი სსრ კავშირის ნაკრებმა შვეციის ეროვნულ გუნდთან გამართა. დაძაბული ბრძოლა ფრედ დამთავრდა — 3:3.

ენერგიულად ითამაშა მსოფლიო ჩემპიონმა — ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა. ფინელებმა ვერ გაუძლეს მასპინძლების თავბრუდამხვევ შეტევებს და დამარცხდნენ — 2:8.

ჩემპიონატის დირექტორატმა დაასახელა ტურნირის საუკეთესო მოთამაშეები. მეკარეებში პირველობა მიეკუთვნა ფინელ ვალტონენს, მცველებში — ჩეხოსლოვაკიელ პოსპიშილს, თავდამსხმელებში კი საბჭოთა ჰოკეისტს, მოსკოვის დინამოელ მალცევს.

სსრ კავშირის ნაკრებმა მიიღო „სამართლიანი თამაშის" პრიზი. ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა გუნდი ტურნირის სხვა მონაწილეთა შორის ყველაზე კორექტული იყო და გაძევების ყველაზე ნაკლები შემთხვევა ჰქონდა.

წლევანდელი ჩემპიონატის შედეგების მიხედვით დადგინდა იმ 6 გუნდის ვინაობა, რომლებიც გაისად მონაწილეობას მიიღებენ მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატში. ეს გუნდები არიან ჩეხოსლოვაკია, სსრ კავშირი, შვეცია, ფინეთი, გფრ და პოლონეთი.

### გათამაშების საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხოსლოვაკია | 10 | 9 | 1 | 0 | 72—16 | 19 |
| სსრ კავშირი | 10 | 7 | 2 | 1 | 78—17 | 16 |
| შვეცია | 10 | 5 | 1 | 4 | 49—33 | 11 |
| ფინეთი | 10 | 4 | 0 | 6 | 47—48 | 8 |
| გფრ | 10 | 2 | 0 | 8 | 21—76 | 4 |
| შვეიცარია | 10 | 1 | 0 | 9 | 19—96 | 2 |

## ყინული დაიძრა

კანადის ჰოკეისტთა წრეებში დიდი გამოცოცხლებაა. ცნობამ იმის შესახებ, რომ ამა წლის სექტემბერში სსრ კავშირისა და კანადის საუკეთესო ჰოკეისტთა რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა მოეწყობა, საყოველთაო ინტერესი გამოიწვია. ბოლოს და ბოლოს დაფაცურდნენ პროფესიული ჰოკეის მეცენატებიც, რომლებიც აქამდე უარყოფდნენ ყველაფერს, რაც სამოყვარულო ჰოკეისთან იყო დაკავშირებული. ამ შეხვედრების რეალურობაზე, მათი აზრით, ისიც მეტყველებს, რომ არც ერთი მხარე არ აყენებს რაიმე საგანგებო მოთხოვნებს.

ჰოკეის ეროვნული ლიგის პრეზიდენტმა პ. კემპბელმა განაცხადა, რომ ლიგა ყოველმხრივ დაუჭერს მხარს ამ სასარგებლო წამოწყებას. სამი პროფესიული კლუბის („მონრეალ კანადიენსი", „ტორონტო მეიპლ ლიფზი", „ვანკუვერი") ხელმძღვანელებმა პირობა დადეს, რომ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს მისცემენ თავიანთ საუკეთესო ჰოკეისტებს. ეს კი ნიშნავს, რომ საბჭოთა ჰოკეისტებთან თამაშის უფლებას მიიღებენ პროფესიული ჰოკეის ისეთი აღიარებული ვარსკვლავები, როგორიც არიან ბ. ორი, ფ. ესპოზიტო, ბ. ჰალი, ფ. მაჰოვლიჩი და სხვ.

მომავალი მატჩებისადმი ინტერესს იჩენენ ის ჰოკეისტებიც, რომლებიც კარგა ხანია სხვადასხვა ამერიკულ კლუბში თამაშობენ. ასე რომ, სექტემბრისთვის შესაძლოა საგრძნობლად გაიზარდოს პროფესიული გუნდების რიცხვი, რომლებიც თავიანთ საუკეთესო სპორტსმენებს მიავლენენ ნაკრებში.

ამ ცნობას ინტერესით შეხვდნენ პრაღაშიც. მსოფლიო ჩემპიონატზე აკრედიტებულმა ჟურნალისტებმა საინტერესო წინადადება წამოაყენეს მსოფლიოს მოყვარულ და პროფესიონალ ჰოკეისტთა ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩის გამართვის თაობაზე. ამ მიზნით მათ პრაღის მსოფლიო ჩემპიონატის შედეგების შესაბამისად ორი ნაკრები გუნდი შეადგინეს.

პირველი ნაკრების შემადგენლობას ჩვენი მკითხველები უკვე იცნობენ. დავუმატებთ მხოლოდ იმას, რომ რეფერენდუმში ხმების აბსოლუტური უმრავლესობა საბჭოთა გუნდის ცენტრფორვარდმა მალცევმა მიიღო — 94. შემდეგ მოდიან: ჰოლეჩეკი — 86, მახაჩი (ორივე — ჩეხოსლოვაკია) — 73, ხარლამოვი (სსრ კავშირი) — 70, პოსპიშილი (ჩეხოსლოვაკია) — 59, ვიკულოვი (სსრ კავშირი) — 25.

შედგა მეორე ნაკრებიც, რომელშიც მოხვდნენ: მეკარე მოლინა (შვეიცარია) — 12, მცველები ლუტჩენკო (სსრ კავშირი) — 14, ხორეშოვსკი (ჩეხოსლოვაკია) — 20, თავდამსხმელები კლაპაჩი — 12, იაროსლავ ჰოლიკი (ორივე — ჩეხოსლოვაკია) — 22, იაკუშევი (სსრ კავშირი) — 42.

მაშ ასე, მსოფლიო ჩემპიონატი დამთავრდა, მაგრამ წლევანდელი სეზონი კიდევ ბევრ საინტერესო ტურნირსა და შეხვედრას გვპირდება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საბჭოთა და კანადის ჰოკეისტთა ურთიერთობაში ყინული დაიძრა.



ტაშკენტი. დოსააფის რესპუბლიკურ აეროკლუბში 100-ზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი მეცადინეობს.

ჰიდრომეტეოროლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ინჟინერი კ. რახიმოვა უზბეკეთის ერთ-ერთი საუკეთესო პარაშუტისტია. მას 500-ზე მეტი ნახტომი აქვს შესრულებული. კლუბში რახიმოვამ სპორტის ოსტატობის კანდიდატის წოდება მოიპოვა.

სურათზე: კ. რახიმოვა.

რ. შამსუტდინოვის ფოტო (საქდესი).

● მოსკოვი, 23 აპრილი. სადგურ სევერიანინის მახლობლად მდებარე სტენდზე დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ფავორიტებმა მოიგეს. მრგვალ სტენდზე ასპარეზობაში იმარჯვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ე. პეტროვმა (სსრ კავშირი) — 195 ქულა. ადგილიდან სროლაში ასეთივე შედეგით ყველას აჯობა მსოფლიოს ორგზის და საფრანგეთის შვიდგზის ჩემპიონმა მ. კარეგამ.

● ხარკოვი, 23 აპრილი. იუნიორ ძალოსანთა აქ მიმდინარე პირად-გუნდურ საკავშირო პირველობაში ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა იუნიორთა შორის მოსკოველმა საშუალო წონის ათლეტმა ს. გრამოტკინმა. მან 162 კგ აჰიდა და სამჭიდში 455 კგ დააგროვა.

● როტერდამი, 23 აპრილი. მოსკოველმა ზ. რუდნოვამ შეინარჩუნა მაგიდის ჩოგბურთში ევროპის ჩემპიონის სახელი — გადამწყვეტ შეხვედრაში ანგარიშით 3:0 სძლია უნგრელ ბ. კიშხაზის. ოქროს მეორე მედალი რუდნოვამ შერეულ წყვილთა თანრიგში მოიპოვა, როცა თანაქალაქელ ს. გომოზკოვთან ერთად აჯობა შვედების დუეტს — მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ ს. ბენგტსონსა და ლ. ანდერსონს — 3:0. ქალთა წყვილების თანრიგში რუდნოვამ და ს. ფიოდოროვამ ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს.

● ვენა, 23 აპრილი. ბელგიელმა მოტოკროსმენმა დე კოსტერმა ყველას აჯობა „500-ანების" კლასში მსოფლიო ჩემპიონატის პირველ ეტაპზე. საბჭოთა სპორტსმენთაგან ყველაზე კარგ შედეგს მიაღწია მოსკოველმა ნ. ეფიმოვმა, რომელმაც X ადგილი დაიკავა.

● ლევერკუზენი (გფრ), 23 აპრილი. 24 წლის რ. კურეცკიმ ჭოკით აქ 520 სმ სიმაღლე გადალახა.

● ერევანი, 23 აპრილი. აქ მიმდინარეობს თანამედროვე ხუთჭიდელთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც უნგრეთის, საფრანგეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, იტალიის, იაპონიისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები მონაწილეობენ. შეჯიბრების პირველ დღეს სპორტსმენები საფარიკაო ბილიკზე ცდიდნენ ძალას. ასპარეზობა 15 საათს გაგრძელდა, რადგან თითოეული ხუთჭიდელი 59-ჯერ უნდა გამოსულიყო სარბიელზე. საბჭოთა გუნდის წარმომადგენელმა პ. ლედნიოვმა 46 ბრძოლა მოიგო და 1095 ქულა დაიმსახურა. მეორე დღეს კაიმართა შეჯიბრება ცხენოსნობაში, სადაც ყველას აჯობა ბ. მიხაილოვმა (სსრ კავშირი), რომელმაც ქულათა მაქსიმუმი — 1100 მოაგროვა. ამ სახეობაში წარმატებით იასპარეზა ლედნიოვმაც — 1005 ქულა. ორი სახეობის შემდეგ ლიდერობს ლედნიოვი, II ადგილზეა საბჭოთა სპორტსმენი ო. ბულგაკოვი, ხოლო III — უნგრელი ლ. ხორვატი. გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდნენ უნგრელები, რომლებიც II ადგილზე მყოფ სსრ კავშირის ხუთჭიდელებს 15 ქულით უსწრებენ.

● ნოქსვილი (აშშ), 23 აპრილი. მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში 800-მეტრიან დისტანციაზე ოლიმპიურმა ჩემპიონმა მადლენ მანინგ-ჯონსონმა 440 იარდი 53,3 წამში გაირბინა (52,9 — 400 მეტრზე). ფინიშზე მეორე იყო ასევე ამერიკელი შერილ ტუსენი — 53,7 წამი.

## ინგლისი

განვლილ შაბათს „მანჩესტერ-სიტიმ" შინ სძლია „დერბი ქაუნთის" — 2:1, ხოლო „ლივერპულმა" ამავე ანგარიშით მოუგო „იფსვიჩ თაუნს".

ლონდონის გუნდების — „არსენალისა" და „ვესტ ჰემ იუნაიტედის" შეხვედრაში თავი ისახელა „არსენალის" თავდამსხმელმა ა. ბოლმა, რომლის ორმა გოლმა გამარჯვება მოუტანა მის გუნდს — 2:1.

„ვესტ ბრომვიჩ ალბიონმა" შინ წააგო „ლიდს იუნაიტედთან" — 0:1.

საუკეთესო სნაიპერია ფ. ლი („მანჩესტერ-სიტი") — 35 გოლი.

აი, ლიდერთა სამეული:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „მანჩესტერ-სიტი" | 42 | 72:42 | 57 |
| „დერბი ქაუნთი" | 41 | 68:33 | 56 |
| „ლივერპული" | 41 | 64:30 | 56 |

## შოტლანდია

მორიგი ტური „სელტიკის" მორიგი გამარჯვებით აღინიშნა, რომელმაც ნოუგო „მადერუელს" — 5:2. „სელტიკის" ახალგაზრდა თავდამსხმელმა დ. დინსმა 3 გოლი გაიტანა მეტოქის კარში.

„გლაზგო რეინჯერსმა" გასვლით შეხვედრაში დაამარცხა „ეირდრიონიენსი" — 3:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სელტიკი" | 31 | 91:23 | 57 |
| „აბერდინი" | 33 | 80:26 | 49 |
| „გლაზგო რეინჯერსი" | 30 | 63:28 | 42 |

## უნგრეთი

ბუდაპეშტში ერთმანეთს შეხვდნენ „ფერენცვაროში" და „უიპეშტ დოჟა". გაიმარჯვა „ფერენცვაროშმა" — 2:0. ეგერის „დოჟამ" ქულა აართვა „შალგოტარიანს" — 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „უიპეშტ დოჟა" | 21 | 57:20 | 34 |
| „ფერენცვაროში" | 21 | 44:19 | 28 |
| „შალგოტარიანი" | 21 | 35:21 | 28 |

## ჰოლანდია

ამსტერდამის „აიაქსმა" სტუმრად ადვილად მოუგო შარშანდელ ჩემპიონს — „როტერდამს" (5:1), ხოლო როტერდამის „სპარტამ" მწვავე ბრძოლაში აჯობა ადგილობრივ „დვს ამსტერდამს" — 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „აიაქსი" | 29 | 83:18 | 53 |
| „ფეიენოორდი" | 29 | 62:17 | 46 |
| „სპარტა" | 29 | 63:28 | 41 |

## ჩეხოსლოვაკია

ტრნავის „სპარტაკმა" დაამარცხა პრაღის „დუკლა" — 2:0. ტრენჩინში ადგილობრივმა „იედნოტამ" მოუგო ლიდერს — ბრატისლავის „სლოვანს" — 3:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სლოვანი" | 19 | 45:21 | 28 |
| „კოშიცე" | 19 | 28:14 | 28 |
| „სპარტაკი" | 19 | 41:17 | 26 |

## იტალია

„ტორინომ" შინ მოუგო ბერგამოს „ატალანტას" (1:0) და ლიდერობა იგდო ხელთ. ტურინის „იუვენტუსმა" ფრედ ითამაშა „მანტოვასთან" — 1:1. „კალიარიმ" მოუგო ვიჩენცის „ლანეროსის" — 3:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ტორინო" | 26 | 34:22 | 37 |
| „იუვენტუსი" | 26 | 40:22 | 36 |
| „კალიარი" | 26 | 33:17 | 36 |

## ავსტრია

„ვიენერ შპორტკლუბმა" შინ მოუგო... „აიზენშტადტმა" თავის მინდორზე წააგო ზალცბურგის „ავსტრიასთან" — 0:1. ინსბრუკის „ტიროლმა" ფრედ ითამაშა ვენის „ადმირა-ვეკერთან" — 1:1. ვენის „რაპიდმა" მოუგო „ლინცერ ასკ"-ს — 3:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ტიროლი" | 19 | 36:12 | 26 |
| „ავსტრია" (ზალც.) | 19 | 40:23 | 25 |
| „რაპიდი" | 19 | 25:11 | 25 |

## პორტუგალია

პორტუში ლისაბონის „ბენფიკის" ცენტრალურმა თავდამსხმელმა ჟორჟემ ერთადერთი გოლი გაიტანა ადგილობრივი „ლეიქშოიშის" კარში — 1:0. ლისაბონში „სპორტინგმა" და სეტუბალის „ვიტორიამ" ფრედ ითამაშეს — 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბენფიკა" | 26 | 68:11 | 47 |
| „ვიტორია" | 26 | 58:16 | 40 |
| „სპორტინგი" | 26 | 45:23 | 37 |

## შვეიცარია

„ბაზელმა" შინ მოუგო „სიონს" — 3:0, „ლოზან სპორტმა" კი ციურიხში — ამავე სახელწოდების ადგილობრივ გუნდს — 3:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბაზელი" | 18 | 46:18 | 30 |
| „ციურიხი" | 18 | 39:20 | 27 |
| „გრასჰოპერსი" | 18 | 36:18 | 25 |

## ბელგია

ბრიუსელის „ანდერლეხტმა" ფრედ ითამაშა „ლიერსთან" — 0:0, „ბრიუგემ" გასვლით შეხვედრაში სძლია „ბევერენს" (4:0), ლიეჟის „სტანდარდმა" წააგო „დისტთან" — 0:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ანდერლეხტი" | 28 | 59:22 | 41 |
| „ბრიუგე" | 28 | 55:20 | 41 |
| „სტანდარდი" | 28 | 46:18 | 39 |

## გფრ

მენჰენგლადბახის „ბორუსიამ" ასტრონომიული ანგარიშით მოუგო დორტმუნდელ თანაკლუბელებს — 7:1. მიუნხენის „ბაიერნმა" სძლია „ჰანოვერ 96"-ს — 3:1. გელზენკირხენის „შალკე 04"-მა დაამარცხა ადგილობრივი „როტ-ვაისი" — 3:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბაიერნი" | 28 | 81:27 | 45 |
| „შალკე 04" | 28 | 62:24 | 44 |
| „ბორუსია" (მენჰენგ.) | 28 | 69:32 | 37 |

## რუმინეთი

„ძლუჟმა" ფრედ ითამაშა „უტ არადთან" — 0:0. „არჯეშმა" მოუგო ბუქარესტის „სტიაუას" (2:1), „უნივერსიტატეამ" — ბრაშოვის „სტიაგულ როშუს" — 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „უტ არადი" | 21 | 39:17 | 29 |
| „არჯეში" | 21 | 34:27 | 26 |
| „უნივერსიტატეა" | 21 | 31:21 | 25 |

## იუგოსლავია

სარაევოში ადგილობრივმა „ჟელეზნიჩარმა" დაამარცხა ზენიცის „ჩელიკი" — 3:0. ბელგრადში „ცრვენა ზვეზდამ" და ნოვი სადის „ვოივოდინამ" ფრედ ითამაშეს — 2:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ჟელეზნიჩარი" | 23 | 39:15 | 35 |
| „ცრვენა ზვეზდა" | 23 | 35:13 | 32 |
| „ვოივოდინა" | 23 | 35:21 | 30 |

საკუთარი ინფორმაცია

ფეხბურთი

## ბათუმი

აქ დამთავრდა აჭარის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ტურნირები ჭადრაკსა და მაგიდის ჩოგბურთში. მოჭადრაკეთა შეჯიბრებაში გაიმარჯვეს ბათუმელებმა, რომლებიც ჩოგბურთელთა ტურნირშიც პირველნი აღმოჩნდნენ. ოთხ სახეობაში მოპოვებული შედეგებით ლიდერობენ ბათუმელები — 45,4 ქულა. II ადგილზეა ხელვაჩაურელთა კოლექტივი — 44.

ო. მურვანიძე.

# კატოვიცეს ხალიჩაზე

გუშინ კატოვიცეში (პოლონეთი) დაიწყო ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში. თავდაპირველად სარბიელი დაეთმოთ თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს, რომლებიც ასპარეზობას 26 აპრილს დაამთავრებენ. ერთდღიანი შესვენების შემდეგ დაიწყება „კლასიკოსთა" ტურნირი.

გაგაცნობთ სსრ კავშირის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრების წონითი კატეგორიების მიხედვით: რ. გაჯიევა (ბაქო), ა. ალახვერდიევი (მახაჩყალა), რ. კულეშოვი (კიევი), რ. პლიევი (ორჯონიკიძე), ნ. ნასრულაევი (მახაჩყალა), რ. მარსაგიშვილი (თბილისი), ვ. ხიულიუხი (მინსკი), გ. სტრახოვი (მოსკოვი), ი. იარიგინი (კრასნოიარსკი). მძიმე წონაში ჯერჯერობით ორი კანდიდატია: სახელმოხვეჭილი მინსკელი ათლეტი ა. მედვედი და ახალგაზრდა თბილისელი ნ. მოდებაძე.

ტურნირი, რომელშიც 23 ქვეყნის (მათ შორის, სსრ კავშირის, ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, ჰოლანდიის, რუმინეთის, თურქეთის, საფრანგეთის, ფინეთის, ჩეხოსლოვაკიის, შვეციის, იუგოსლავიის) ოთხასამდე ათლეტი მონაწილეობს, მასპინძლებმა პოლონეთის მოჭიდავეთა კავშირის არსებობის 50 წლისთავს შეუფარდეს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი ყველაზე ბოლოს თურქეთმა განაცხადა. მიუხედავად ამისა, ამ ქვეყნის ათლეტები ყველაზე ადრე ჩავიდნენ კატოვიცეში. თურქეთის ორივე ნაკრების შემადგენლობაში 10-10 ტიტულოვანი და ბევრი სათადარიგო მოჭიდავეა.

ევროპულ ფორუმში პირველად ცდიან ძალებს კვიპროსის მოჭიდავეები. კატოვიცეში ჩასვლა განზრახული ჰქონდათ პორტუგალიელებსაც. მაგრამ ბოლო მომენტში ამ ქვეყნის ჭიდაობის ფედერაციამ საორგანიზაციო კომიტეტს აცნობა, რომ გუნდს ვერ გზავნის. პორტუგალიის ხელისუფლებამ სპორტსმენებს პოლონეთში გასამგზავრებლად ვიზები არ მისცა.

# თბილისის კალათბურთელ ქალთა გამარჯვება

◆ ლოძი, 24 აპრილი. კალათბურთელ ქალთა აქ დაწყებულ საერთაშორისო ტურნირში კარგად აიღო სტარტი თბილისის ნაკრებმა — ანგარიშით 88:64 (48:29) სძლია პაბიანიცეს „ვლუკნიაჟას".

◆ კასაბლანკა, 24 აპრილი. აქ ფინიში ჰქონდა ტრადიციულ მრავალდღიან ველორბოლას „ტურ დე მაროკ". ამ საინტერესო საერთაშორისო შეჯიბრებაში საბჭოთა ველოსიპედისტებმა ორმაგ წარმატებას მიაღწიეს: პირად ჩათვლაში საუკეთესო აღმოჩნდა მშვიდობის 1970 წლის ველორბოლის ოქროს ლაურეატი ვ. ლიხაჩოვი (გორკი), ხოლო გუნდურ ჩათვლაში ბადალი არ ჰყავდა სსრ კავშირის ნაკრებს. ლიხაჩოვმა, ამავე დროს, ტურნირის ყველაზე აქტიური მრბოლელის მწვანე მაისურში დაამთავრა. II ადგილი დაიკავა ჰოლანდიელმა ფ. დენ ჰერტოგმა, III — საბჭოთა ველოსიპედისტმა ა. სტარკოვმა. გუნდურ ჩათვლაში II ადგილზე გავიდა ბელგიის ნაკრები, ხოლო III — საფრანგეთის კოლექტივი.

◆ ბუქარესტი, 24 აპრილი. პერუს ფეხბურთელთა ეროვნული გუნდი ევროპაში განაგრძობს ტურნეს. რუმინეთის ოლიმპიურ ნაკრებთან მისმა შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია. მატჩი ფრედ დამთავრდა — 2:2.

◆ ვრნიაჩკა ბანია, 24 აპრილი. ი. რუკავინამ (იუგოსლავია) და ი. სმეიკალმა (ჩეხოსლოვაკია) მოჭადრაკე ვაჟთა მორიგი მსოფლიო ჩემპიონატის საზონათშორისო ტურნირის საგზურები მოიპოვეს — ყველას აჯობეს ევროპის ერთ-ერთი შესარჩევი ჯგუფის აქ გამართულ ზონალურ ტურნირში. მათ 9-9 ქულა მოაგროვეს 13-დან. მათს გარდა აქ ისეთი ცნობილი მოჭადრაკეები თამაშობდნენ, როგორიც არიან მ. ბობოცოვი (ბულგარეთი), ა. ადორიანი, ი. ჩომი (ორივე — უნგრეთი), ბ. ჩოკილტეა (რუმინეთი), ბ. მალიჰი (გდრ).

◆ ტუნისი, 24 აპრილი. 3:3 — ასეთი ანგარიშით დასრულდა ტუნისისა და მაროკოს ფეხბურთელთა წინაოლიმპიური ტურნირის მატჩი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## დღეს და ხვალ

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49) ტარდება საკავშირო სიმპოზიუმი — „საწვრთნელი პროცესის მართვის პრობლემები".

სპორტული საზოგადოებების, რესპუბლიკის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლებისა და მათი ფილიალების მწვრთნელთა დასწრება სავალდებულოა.

სხდომების დასაწყისი 10 და 15 ს.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

აკრობატიკა. სპორტის სასახლე. 25-28 აპრილი. სსრ კავშირის ჩემპიონატი. დასაწყისი 11 და 18 ს.



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.

უე 04508